საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

20/03/2026

MES 3 26 0000341471

გადაწყვეტილება

შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურმონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

1.გადაწყვეტილებისმიღებისსამართლებრივისაფუძვლები

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების“ აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

1.2. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არაგეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.

1.3. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2.აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2025 წლის 04 და 05 აგვისტოს №948155 და №952972 განცხადებებით შემოვიდა შპს კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტის საჩივარი.

„აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2025 წლის 11 დეკემბრის №1775912 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 22 დეკემბერს განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი.

2.2. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2026 წლის 06 მარტს. საბჭომ შეწყვიტა შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება, თუმცა, დაწესებულებას განუსაზღვრა შესასრულებლად შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურის დროს დაწესებულებამ ნათლად ჩამოაყალიბოს დაცვის კომისიის შემდეგენლობა, ფუნქციები და შეფასების წილი ერთიანი შეფასების ფარგლებში საჯარო დაცვის პრინციპების მაქსიმალური გათვალისინებით.
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების მიზნით დამოუკიდებელი და ინსტიტუციურად გამიჯნული სააპელაციო მექანიზმის უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმი (იქნება ეს ცალკე სააპელაციო კომისია თუ სხვა შუალედური რგოლი/ორგანო) უნდა იყოს დაკომპლექტებული იმ წევრებით, რომლებიც: არ მონაწილეობდნენ შესაბამისი ნაშრომის წინარე დაცვაში; არ იყვნენ სტუდენტის რეცენზენტები; არ იყვნენ სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელები.
- რეკომენდებულია მაგისტრატურის დებულებაში გასწორდეს ურთიერთგამომრიცხავი და წინააღმდეგობრივი ჩანაწერები დაცვის კომისიის შემადგენლობასთან დაკავშირებით.
- რეკომენდებულია მაგისტრატურის დებულებაში დეტალურად განიმარტოს ვინ იგულისხმება მეცნიერ-ხელმძღვანელში, რადგან აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანებას იწვევს.
- რეკომენდებულია რეცენზიის მომზადებისას ზედმიწევნით დაცული იყოს მაგისტრატურის დებულების დანართ N3-ით განსაზღვრული ფორმატი და სტრუქტურა.
- რეკომენდებულია დაწესებულებამ საჯაროდ განათავსოს ვებგვერდზე მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის, კავკასიის სამართლის სკოლის დებულება, სამართლის სკოლის მაგისტრატურის დებულება, სამაგისტრო ნაშრომის მომზადების გზამკვლევი, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და მათი გამოყენების ეფექტიანობის შეფასების დოკუმენტი კავკასიის უნივერსიტეტის გვერდზე იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

3.სარეზოლუციონაწილი

აკრედიტაციის დებულების 27[2]მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №1).
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 20 მარტის №339041 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
4. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 20 მარტს.
5. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ელექტრონული
შეზამეღსმეღის
ელექტრონულად